გიორგი ჩაკვეტაძის 1 წლის საქმიანობის ანგარიში

ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარის,
გიორგი ჩაკვეტაძის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი
[01.11.2019 – 31.10.2020]

სარჩევი

პრეამბულა 2

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა 2

ტრანსპორტი 3

საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა 5

ეკოლოგია 6

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები 8

კომისიური მუშაობა 10

ფრაქციული მუშაობა 10

სპორტი და ახალგაზრდობა 10

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა 10

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივები 12

სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში ჩართულობა 17

დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა დაიწყო (15.07.2020) 25

თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია (17.07.2020) 26

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური 28

სპორტული ღონისძიებები 28

ახალგაზრდული ღონისძიებები 30

რაიონული გამგეობები 33

მივლინებები/ ოფიციალური ვიზიტები 34

განხილული კორესპონდენცია 34

მოქალაქეთა მიღება 35

დამატებითი ინფორმაცია 35

საზოგადოებასთან ურთიერთობა 35

პრეამბულა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაკვეტაძის მიერ 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში *(01.11.2019 - 31.10.2020)* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს 20 *(ოცი)* და საკრებულოს 18 *(თვრამეტი)* სხდომა გაიმართა. შედეგად, გიორგი ჩაკვეტაძის თანამონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 546 *(ხუთას ორმოცდაექვსი)* გადაწყვეტილება. მათ შორის, 140 *(ას ორმოცი)* დადგენილება და 406 *(ოთხას ექვსი)* განკარგულება.

გიორგი ჩაკვეტაძე *(2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო ბიუროს 20 (ოცი) და საკრებულოს 18 (თვრამეტი) სხდომას.

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები:

- 2019 წლის 27 დეკემბერს თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა *(2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილება).* დედაქალაქის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 1 მილიარდ 20 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (861,6 მლნ.) 92,4 მლნ. ლარითაა გაზრდილი.
  თებერვლის ცვლილებებით, თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი დამატებით 217 მილიონ 580 ათასი ლარით გაიზარდა. დედაქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში ცვლილებები, საკრებულოს 18 თებერვლის სხდომაზე დაამტკიცეს. მიმდინარე წლის ბიუჯეტი 2019 წელს

მიღებული შემოსავლებისა და 2020 წლის 1 იანვრისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გათვალისწინებით გაიზარდა. მთლიანმა მოცულობამ კი 1 მილიარდ 238 მილიონ 980,6 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- ტრანსპორტი;
- საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა;
- ეკოლოგია;
- ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები;
- ცხოვრების ჯანსაღი წესი.

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის მთავარი ამოცანა სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება და პირველ რიგში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნის გაზრდაა.

- სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, მიმდინარეობს დედაქალაქის ძირითად გამზირებსა და ქუჩებზე ათი სატრანზიტო დერეფნის მოწყობა, რომელზეც 12 და 18-მეტრიანი ავტობუსები იმოძრავებენ. გარდა ამისა, დამატებით განისაზღვრება დასახლებული პუნქტიდან გაჩერებამდე მაქსიმალური დაშორების მანძილები: ძირითად დერეფნებში 400-450 მეტრი, საქალაქო ხაზებთან 300-350 მეტრი, ხოლო საუბნო ხაზებთან 200-250 მეტრი;
- 8-მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა დასრულდა, სულ შემოყვანილია 220 ერთეული; ეტაპობრივად მიმდინარეობს თორმეტ მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა. ხოლო, ბოლო ეტაპზე დაიწყება 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა. ავტოპარკის განახლების შემდეგ, მუნიციპალურ ავტობუსებს ერთდროულად 84 000 მგზავრის გადაყვანა შეეძლებათ; ავტობუსები სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის: სალონში გამოყოფილია სპეციალური სივრცე და გააჩნია გადმოსაშლელი პანდუსი, ეტლით ავტობუსში ასვლის უზრუნველსაყოფად. მცირე ზომის ავტობუსებში განთავსებულია Wi-fi მოდემი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ავტობუსის Wi-fi სიგნალით დაფარვას, ასევე თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემები. გააჩნია ანტივანდალური ვიდეო მონიტორინგისა და საინფორმაციო ხმოვანი შეტყობინებების სისტემები და USB-დამტენები. მთლიანობაში თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ 2019 წელს 90 ერთეული 10-მეტრიანი MAN-ის და 220 ერთეული 8-მეტრიანი ISUZU-ს მარკის ავტობუსი შეიძინა, ასევე მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის

ფარგლებში მიმდინარე წელს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ხელშეწყობით, 226 ერთეული 12-მეტრიანი, ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე, EURO 6-ის სტანდარტის ავტობუსი შეისყიდა. მათი ნაწილი უკვე დედაქალაქშია, დანარჩენი კი 2021 წლის მარტამდე ეტაპობრივად შემოვა. შესაბამისად ხდება მიკროავტობუსების განახლება, ამ ეტაპზე 200 ერთეული მიკროავტობუსია შემოყვანილი.

- თბილისის მეტროს რეაბილიტაციას EBRD-ის მხარდაჭერით კიდევ 75 მილიონი ევრო მოხმარდება რეაბილიტაციას; მეტროსადგურებში ამ ეტაპზეც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვაგონების განახლება და გამოცხადებულია საერთაშორისო ტენდერი ახალი შემადგენლობების შესყიდვასთან დაკავშირებით; საანგარიშო პერიოდში თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მეტროსადგურებზე - „გოცირიძე", „ვარკეთილი" და „ავლაბარი" სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, ხოლო დამატებით ათ სადგურზე, ასევე, მასშტაბური სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება, ესენია: „გურამიშვილი", „სადგურის მოედანი", „სარაჯიშვილი", „მარჯანიშვილი", „თავისუფლების მოედანი", „300 არაგველი", „რუსთაველი", „ისანი", „წერეთლის გამზირი" და „ნაძალადევი".
- ამოქმედდა ელექტროსკუტერების გაზიარების პირველი სერვისი. პროექტი თბილისის მერიის მხარდაჭერით, კომპანია „სქროლმა" ამერიკულ კომპანია "Bird"-თან თანამშრომლობით შეიმუშავა. პროექტის მიზანი არსებულ ვითარებაში სატრანსპორტო ალტერნატივის შემუშავებაა, რომელიც ურბანული მობილობის სირთულეებს მოაგვარებს და საქართველოს დიდ ქალაქებში ეკოლოგიურ მდგომარეობას გამოასწორებს;
- თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე, სკვერსა და პარკში თანამედროვე, ევროპული ტიპის ველო ბილიკები რეგულარულად ეწყობა;
- ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედდა საბურთალოს რაიონში, რომელიც რამდენიმე გამზირსა და ქუჩას მოიცავს. ზონალურ-საათობრივი პარკირება ბარათაშვილის, კოტე აფხაზისა და აბანოს ქუჩების ნაწილზე, ასევე, ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მოქმედებდა;
- გამოცხადდა მთაწმინდის საბაგიროს აღდგენის პროექტის განხორციელებისთვის შესაბამისი ტენდერი, რომლის აღდგენას დაახლოებით, ორი წელი დასჭირდება. საბაგირო იქნება წრიული ტიპის, 21-გონდოლიანი. მისი საშუალებით, ერთ კილომეტრიანი მანძილის დაფარვა ოთხ წუთში იქნება შესაძლებელი, ხოლო საათში 1 100 ადამიანის გადაყვანას შეძლებს.

საქალაქო და რაიონული ინფრასტრუქტურა

გზების აღდგენა-რეაბილიტაცია დასრულდა ათობით ლოკაციაზე.

- მშრალ და ზაარბრიუკენის ხიდებს შორის ასფალტის საფარის ქვედა ფენის მოწყობის სამუშაოები დასრულდა;
- თამარ მეფის სახელობის ხიდის პანდუსის რეაბილიტაცია დასრულდა;
- ისნის რაიონში მოეწყო ახალი გზა, რომელიც დავითაიას ქუჩას და მერვე ლეგიონის დასახლებასთან მდებარე მთისძირის ქუჩას აკავშირებს;
- კრწანისის რაიონში, ზემო და ქვემო ფონიჭალის დამაკავშირებელი მიწისქვეშა სარკინიგზო გზაგამტარი გაიხსნა, ახალი გზაგამტარი ზემო და ქვემო ფონიჭალის ერთმანეთთან დამაკავშირებელ აქამდე არსებულ 5-კილომეტრიან მონაკვეთს 100 მეტრამდე ამცირებს;
- გლდანის რაიონში, ვეკუას, ხიზანიშვილისა და ხოჭოს ტბის ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია დასრულდა. აღნიშნულ ქუჩებზე, რომელთა სიგრძეც ჯამში, დაახლოებით, რვა კილომეტრს შეადგენს, ასფალტის ზედა ფენის დაგება უკვე დასრულებულია. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა გრუნტის დამჭერი კედლების მოწყობა, შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები - წყალმომარაგების, წყალარინების და სანიაღვრე ქსელები, საკომუნიკაციო სადენები მიწის ქვეშ განთავსდა, მოეწყო გარე განათების ახალი ქსელი. დასრულდა შშმ პირებისთვის პანდუსების, ასევე, ველობილიკების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოები, რომელიც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა;
- განხორციელდა ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტის საფარი 60 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო. პროექტის ფარგლებში, შეიცვალა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე ქსელს. მოეწყო ბორდიური, ტროტუარი მოპირკეთდა ბუნებრივი ქვის ფილებით, გამზირზე მოეწყო ველობილიკიც. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოხდა შშმ პირთათვის გამზირის სრული ადაპტირება. გარე განათების ქსელი სრულად შეიცვალა, ელექტროსადენები კი მიწის ქვეშ განთავსდა. ასევე, დამონტაჟდა სახანძრო ჰიდრანტები, ნარჩენების შემკრები კონტეინერები, მოეწყო ახალი გაჩერებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლები;
- ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში რომის N4-ში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და 2020 წლის დეკემბერში დასრულდება;
- პროექტ „ახალი ტფილისის" ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში, წინამძღვრიშვილის N1-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, პროექტი 2021 წლის ივნისში დასრულდება;
- თბილისის მასშტაბით, საანგარიშო პერიოდში 88 მისამართზე რეაბილიტირდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 14 მათგანის რეაბილიტაცია.

ეკოლოგია

- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკებს და სკვერებს (მათ შორის: საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის გამზირზე, N52 საჯარო სკოლის მიმდებარედ; გლდანის მერვე მიკრორაიონში, N23, N11, N9 კორპუსების მიმდებარედ; ვარკეთილის 3-ის IIIა მიკრორაიონში, N325 კორპუსის მიმდებარედ; დიდ დიღომში, იოანე პეტრიწისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩებს შორის);
- გაიხსნა „მზიურის" განახლებული პარკი, აღდგა პარკში არსებული მოზაიკები, ხიდები, კიბეები და გამოიცვალა ყველა სახის კომუნიკაცია: კანალიზაცია, სასმელი წყლის, ირიგაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და გარე განათების სისტემები. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ველო ბილიკები, სკამები, ურნები, ფანჩატურები, სასმელი წყლის სოკოები, დასასვენებელი ადგილები და დაიდგა ზონირების შესაბამისი ნიშნები. ასევე, პარკის ტერიტორიაზე გაკეთდა ხელოვნური ტბა, სკეიტბორდის და საბავშვო გასართობი მოედნები;
- ნაძალადევის რაიონში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის (ე.წ. კიკვიძის პარკის) რეაბილიტაცია დასრულდა. რეაბილიტაციის ფარგლებში, პარკს შეუერთდა მიმდებარედ არსებული აუთვისებელი ტერიტორია, მოეწყო სპორტული და სამაგიდო თამაშების მოედნები, დასასვენებელი პავილიონები, წყალარინების, სარწყავი, განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები; პარკის ტერიტორიაზე ასევე, განთავსდა შინაური ცხოველების სასეირნო სივრცე, ველო და სარბენი ბილიკები. ერისთავის ქუჩის მხრიდან კი, მოეწყო პარკში შესასვლელი პანდუსი. რეაბილიტირდა პარკში არსებული შენობები და შადრევანი;
- საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში საფუძველი ჩაეყარა ახალი ბოტანიკური ცენტრის მშენებლობას. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა ბოტანიკური ბაღის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად მიმართულებას მოიცავს და ბაღის სამეცნიერო-კვლევით, მცენარეთა საკონსერვაციო და საგანმანათლებლო მუშაობის ეფექტურობას გაზრდის. ცენტრში თავს მოიყრის მცენარეთა დაცვის ლაბორატორია, ეროვნული თესლის ბანკი, ქსოვილური კულტურის ლაბორატორია, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და ეკოსაგანმანათლებლო სივრცე;
- ვარკეთილში თაყაიშვილისა და ალექსიძის 2 კილომეტრიან მონაკვეთზე 1300 კედარის მარადმწვანე ხე დაირგო;
- ფონდის „ქართუ" დაფინანსებით, თბილისის მერიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მთაწმინდის ფერდობებზე არსებული დაზიანებული ნარგავების აღდგენის სამუშაოები იწყება. პროექტის განხორციელების მთავარი მიზანი არსებული ფერდის ლანდშაფტის ოთხ სეზონად გადაქცევაა, რაც მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეების, ასევე, ბუჩქოვანი და ბალახოვანი საფარის განაშენიანება-რეაბილიტაციას გულისხმობს. საერთო ჯამში, დაახლოებით, 700 ჰექტარი ტერიტორია გამწვანდება. შეთანხმების თანახმად, ფონდი „ქართუ" მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში,

დეგრადირებული ტყეებისა და ფართობების აღდგენის, ასევე, რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს 16 მლნ ლარის ფარგლებში დააფინანსებს;

- მიმდინარეობს თემქის ხევის რეაბილიტაცია, რომელიც დაახლოებით, 22 ჰექტარი ტერიტორიის განაშენიანებას ითვალისწინებს. პარკში მოეწყობა გადასასვლელი ხიდები, კაფეები, სპორტული მოედნები და ორი ხელოვნური ტბა. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება. სამუშაოები ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება;
- ვაკის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, პარკში არსებული ჩოგბურთის კორტები და კალათბურთის მოედანი შენარჩუნდება უცვლელად. ასევე, სრულად რეაბილიტირდება პარკში არსებული ღია კინოთეატრის შენობა. სამუშაოების ფარგლებში, სრულად შეიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები, სანიაღვრე, სარწყავი, ელექტრომომარაგების სისტემა და საპარკე ინფრასტრუქტურა. სამუშაოების ფარგლებში, პარკში ცხოველების სასეირნოდ ახალი სივრცე, საპიკნიკე ზონა, საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები და სამაგიდო თამაშების ზონები მოეწყობა; განახლდება ველობილიკი და შეიცვლება ტრაექტორია; მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები; პარკის ცენტრალურ ნაწილში განთავსდება ისტორიულ მოტივებზე შექმნილი დიზაინის სკამები და განათების ბოძები; აღდგება ცენტრალურ შესასვლელში მდებარე ოვალური შადრევნის ფორმა; კუს ტბის ფერდზე განახლდება გადმოსახედი და მოეწყობა მასთან მისასვლელი ბილიკები ბუნებრივი საფარით; პარკის ტერიტორია გადანაწილდება ორგანიზებულად, რათა აქტიური და პასიური ზონები ერთმანეთისგან გაიმიჯნოს; აიკრძალება ავტომობილებით გადაადგილება და ჩაიკეტება კუს ტბის გზის შესასვლელი;
- ქალაქში ამტვერებადი და აალებადი, ასევე, ნიადაგის დამაბინძურებელი მასალების წარმოება-დამუშავების და რეალიზაცია-განთავსებისთვის 2021 წლის პირველი იანვრიდან კონკრეტული ადგილები განისაზღვრება. ამავე პერიოდიდან ასევე, ამოქმედდება მსგავსი მასალების დამუშავების წესი და რეგულაციები;
- უახლოეს მომავალში დაიწყება თბილისის ცენტრალური პარკის მშენებლობა. პროექტი შეიმუშავა ჰოლანდიურმა კომპანიამ, პარკი 36 ჰექტარზე განთავსდება, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, რომელიც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ'' თბილისის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა. პარკის მშენებლობას სრულად დააფინანსებს ,,ქართუ''. პროექტის მიხედვით ეს იქნება მულტიფუნქციური სივრცე, სადაც გათვალისწინებულია ბოტანიკური ბაღი, იაპონური ბაღი, ფრანგული ბაღი, ამფითეატრი, შადრევანი, სკეიდ პარკი, სასაზღვრო სატყეო ზონა, შიდა სატყეო სექტორი, საგანმანათლებლო ცენტრი, მდელო, ზიპლაინი, სპორტის ზონა და კვების ზონა. ასევე, მოეწყობა ცხოველების სასეირნო სივრცე, პანორამული პლატფორმა, გუბურა, თოკების პარკი, საფეხმავლო ხიდი, სამთო ველოსიპედების ბილიკები, სტრიტბოლის სივრცე, არეალები ლაშქრობისა და კლდეზე ცოცვისთვის, ხოლო პარკის გარშემო იფუნქციონირებს სამი ავტოსადგომი;

- დედაქალაქის მასშტაბით საანგარიშო პერიოდში ათივე რაიონში მოეწყო 60 სარეკრეაციო/გამწვანებული ტერიტორია და ამ ეტაპზე დამატებით მიმდინარეობს 27 მათგანის მოწყობა.

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები

- საანგარიშო პერიოდში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცათ 372-მდე ოჯახს (სულ: 31 326 კვ.მ საცხოვრებელი ფართი). თბილისის მერის ინიციატივით, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც წლების განმავლობაში საცხოვრებელი ფართების დაკანონების პრობლემა აწუხებდათ, ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცათ. პროექტის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართები უკვე 900-მდე ოჯახს დაუკანონდა;
- მშენებლობების დასრულების მიზნით, „M2 ჯგუფი" მირცხულავას, ნუცუბიძისა და ჭყონდიდელის ქუჩებზე მდებარე სამ შეჩერებულ პროექტს გადაიბარებს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 250 000 000 ლარს შეადგენს და „M2 ჯგუფის" მიერ სრულად ფინანსდება. „M2 ჯგუფსა" და თბილისის მერიას შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, სამშენებლო სამუშაოები „სვეტის" დანარჩენ ობიექტებზე ეტაპობრივად განახლდება და სამ წელიწადში დასრულდება. 2 500-მდე დაზარალებული ოჯახი საკუთარ ბინას დათქმულ ვადაში მიიღებს;

- „M2 ჯგუფი" მშენებლობის დასრულების მიზნით კიდევ მეორე მისამართზე დაასრულებს მშენებლობას, შარტავას N43 „ოლიმპიური ვარსკვლავის" ობიექტზე, ხელშეკრულების პირობების თანახმად, მშენებლობა სამი წლის ვადაში დასრულდება და, თორმეტწლიანი ლოდინის შემდეგ, 400-მდე დაზარალებული ოჯახი კუთვნილ ბინებს მიიღებს.
- ასევე, საკრებულოს გადაწყვეტილებებით, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით თანხმობა მიეცა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე სამშენებლო კომპანიებს შემდეგ მისამართებზე:

✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს" მისამართზე - ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49;

✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10;

✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3;

✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს" მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14;

✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს" მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2;

- ✓ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს'' და იბა ,,ახალი დიღომს“ მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16;
- ✓ შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს'' და შპს,,კავკასიის პოინტ ჯგუფს'' მისამართზე დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ;
- ✓ შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის'', შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის'', შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის'' და შპს ,,იქს მშენ დეველოპმენტის'' - მისამართზებზე ხოშარაულის ქ. N29, კოსმონავტების ქ. N49, კოსმონავტების ქ. N47, კოსმონავტების სანაპირო N45;
- ✓ შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის'' , მისამართზე - ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის;
- ✓ შპს „იქსორი ქავთარაძეზე''-სთვის მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34; ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ;
- ✓ შპს,, გუმბათი ჰოლდინგი+''-სთვის მისამართზე - ქ. თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა №1;
- ✓ შპს „ცერცერასთვის''-სთვის მისამართზე - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანი N53 ა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება შევიდა. აღნიშნულის თანახმად, ბიუჯეტით გათვალისწინებულ ქვეპროგრამებს ახალი ქვეპროგრამა დაემატა, რომელიც გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას გულისხმობს;
- შემუშავდა ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დაფინანსების გაზრდას გულისხმობს.
- **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებზე:** დაავადებათა სკრინინგი; გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი; გაფანტული სკლეროზი; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება; ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება; "C"ჰეპატიტის დიაგნოსტიკა; ტრანსპლანტაცია; კომუნალური სუბსიდირება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება; 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება; უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში; უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში; უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში; სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია); სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები; ომის ვეტერანების დახმარება; მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა; სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება "ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება; სოციალურად

დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება; შინმოვლის თანადაფინანსება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; **მიმდინარე წელს** (I და II კვრატალი) **დაფინანსდა 41,189,578 ათასი ლარით.**

კომისიური მუშაობა

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

კომისიას ჩატარებული აქვს **19** *(ცხრამეტი)* სხდომა. განხილულია **131** *(ას ოცდათერთმეტი)* დადგენილების და **268** *(ორას სამოცდარვა)* განკარგულების პროექტი. სულ **399** *(სამას ოთხმოცდაცხრამეტი)* საკითხი.

გიორგი ჩაკვეტაძე *(2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო 19 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 399 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი) საკითხის განხილვაში.

ფრაქციული მუშაობა

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ჩატარებული აქვს 16 *(თექვსმეტი)* სხდომა, განხილულია 21 *(ოცდაერთი)* საკითხი.

გიორგი ჩაკვეტაძე *(2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო 16 *(თექვსმეტი)* სხდომას და მონაწილეობა მიიღო 21 *(ოცდაერთი)* საკითხის განხილვაში.

სპორტი და ახალგაზრდობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიური პროპაგანდა, სხვადასხვა სპორტული პროგრამების შემუშავება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მიმდინარე სპორტული ობიექტების მშენებლობისა და არსებულის მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა ორგანიზაციებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- მოქალაქეების მიღება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციის წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების საქმიანობის რეგულარული გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა და მათში მონაწილეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი;
- დონორების მოზიდვა, დელეგატთა მორიგი ფორუმის და რეგიონული შეხვედრის ორგანიზება;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- მსოფლიო შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებზე ქართველი სპორტსმენების გაცილება საკრებულოს წევრების მიერ;
- სტაჟირებასა და დასაქმებაში ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და დაძმობილებულ, პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 11 *(თერთმეტი)* სხდომა ჩატარდა და 18 *(თვრამეტი)* საკითხი მომზადდა. მათ შორის, განხილულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების და განკარგულებების პროექტები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების ანგარიშები, სპორტისა და ახალგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები, მიმდინარე საკითხები - არსებული პროექტების პრეზენტაცია და სხვა.

- კომისიის და საკრებულოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში. ცვლილება ახალგაზრდული ჯგუფების დაფინანსების მეტად გამარტივებული სისტემის დაწესებას გულისხმობს.

  მნიშვნელოვანია, რომ დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით აქამდე არსებული პრაქტიკა გამარტივდა და სხვადასხვა სტუდენტური კლუბის, თვითმმართველობისა თუ არარეგისტრირებული იურიდიული პირისთვის 5000 ლარამდე დაფინანსება კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა. ცვლილება განხორციელდა იმისთვის, რომ მათ ინიციატივებსა და ინოვაციებს მუნიციპალიტეტის მხრიდან სათანადო ხელშეწყობა ჰქონდეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია 10 *(ათი)* სამართლებრივი დასკვნა და 11 *(თერთმეტი)* კომისიის სხდომის ოქმი. კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივები

მუნიციპალური სპორტული ბაზა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და სპორტული აქტივობების კონსოლიდაციის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს შორის (საკრებულო, მერია, გამგეობები, ა(ა)იპ-ები, სსიპ-ები), სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, ფრენბურთი, აირსოფტი, კარტინგი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ნარდი, კიბერ სპორტი, ექსტრემალური სპორტი, სამაგიდო თამაშები, სხვა) 2018 წელს სპორტის მოყვარულთა მუნიციპალური საერთო ბაზა შეიქმნა. სოციალურ ქსელში თემატური ელექტრონული ჯგუფი შეიქმნა, სადაც ქვეყნდება ყველა სიახლე.

აღნიშნულის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ქ. თბილისის საკრებულოსა და სხვადასხვა კომპანიებს შორის, რითაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლები სარგებლობენ. მემორანდუმების პირობების შეთავაზებები გადაეგზავნა მუნიციპალურ ბაზაში არსებულ ორგანიზაციებს.

ტურნირი ,,თბილისის სასკოლო ლიგა 2020"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და ა(ა)იპ-ის „სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის" ორგანიზებით პროექტი ,,თბილისის სასკოლო ლიგა" შემუშავდა. ტურნირის განხორციელებას მხარს უჭერდა თბილისის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კერძო ორგანიზაციები.

ტურნირი მინი ფეხბურთში პირველად 2019 წელს გაიმართა, რომელშიც 32 (ოცდათორმეტი) საჯარო სკოლის, 400-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას და თბილისის სამი რაიონის ტერიტორია მოიცვა.

მსგავსი ტურნირი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ელექტრონული პორტალის შექმნითა და ჯგუფური სისტემის გამოყენებით პირველად გაიმართა და მიზნად ისახავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ტურნირის განხორციელება უფრო ფართო მასშტაბებით კვლავ იგეგმებოდა 2020 წლის მარტი-ივლისის პერიოდში, რომელშიც უნდა ჩართულიყო ქ. თბილისის 96 საჯარო სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლე, თუმცა ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) შექმნილი ვითარების გამო პროექტი მომდევნო წლისთვის გადაიდო.

გიორგი ჩაკვეტაძე და ალექსანდრე ხუჯაძე ნაძალადევში სპორტულ ინფრასტრუქტურას გაეცნენ (20.01.2020)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, პერიოდულად დედაქალაქში მიმდინარე და განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის, 20 იანვარს თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ და ნაძალადევის (სანზონის) რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა - ალექსანდრე ხუჯაძემ სანზონაში რეაბილიტირებული მინი-სტადიონები დაათვალიერეს. საკრებულოს წევრებმა რაიონში დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხებიც განიხილეს.

თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე 650 მინი სტადიონი ფიქსირდება, მათი კეთილმოწყობა კი ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის კუთხით არსებული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდობის სააგენტოსთან (07.02.2020)

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ახალგაზრდობის სააგენტოს, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილი პროგრამების, ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის შესახებ ისაუბრეს. გიორგი ჩაკვეტაძემ სხდომაზე მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ სხვადასხვა უწყებასთან მჭიდრო საქმიანი კავშირი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის განმსაზღვრელია.

შეხვედრას საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებთან ერთად, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - ნათია ღვინაშვილი, ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი - რევაზ ჩარკვიანი, სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე - ქრისტინა კაპანაძე, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი - ანატოლი კორეპანოვი და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

ახალგაზრდული ფორუმი „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის" (21/22.02.2020)

თბილისის საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, ბათუმში 21 თებერვალს ახალგაზრდული ფორუმი - „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის'' გაიხსნა. ფორუმის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, თბილისის მერთან და აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან ერთად, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები დაესწრნენ. ფორუმი მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ფორუმი ორ დღიანი იყო. პირველი დღე ოფიციალური სტუმრების მისალმებას, ფორუმის დაფუძნების მიზნების გაცნობას და ფორუმის მონაწილეთა მიერ სამუშაო ფორმატში საპროექტო იდეების შემუშავებას დაეთმო, ხოლო მეორე დღე შემუშავებული პროექტების პრეზენტაციას და კენჭისყრას. გარდა აღნიშნული საკითხებისა, ფორუმის პლატფორმის გაძლიერების მიზნით მონაწილეებმა ინიციატივები წარმოადგინეს, რაც რეზოლუციის სახით შემუშავდა.

ახალგაზრდული ფორუმი „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის'' თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, 2018 წლის 12 თებერვალს, თბილისში დაფუძნდა. ახალგაზრდულ ფორუმში „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის'' 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოების ახალგაზრდა წევრები და სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტები მონაწილეობდნენ. ფორუმს ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის'', საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციების მხარდაჭერით, ქ. ბათუმში გაიმართა. შემუშავდა ახალგაზრდული ფორუმის სამომავლო გეგმაც.

სპორტის საერთაშორისო დღე (06.04.2020)

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები ,,თეთრი ბარათების" კამპანიას შეუერთდნენ, რომელიც მშვიდობისა და სპორტის ციფრულ კამპანიას წარმოადგენს და მისი მიზანი სპორტში პოზიტიური ღირებულებების წახალისებაა.

საერთაშორისო ორგანიზაციის - „მშვიდობა და სპორტის'' გადაწყვეტილებით, პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, სპორტის დღისადმი მიძღვნილმა წლევანდელმა ღონისძიებებმა და აქტივობებმა ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. ამ ღონისძიებების დევიზი მსოფლიოს მასშტაბით არის „მე ვრჩები სახლში და ვვარჯიშობ'', რომელსაც მსოფლიოში საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები უერთდებიან.

შეხვედრა რაგბის კლუბ ,,რაშებთან'' (27.06.2020)

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის ზღვაზე, ბეშენოვის ქუჩის მიმდებარედ, რაგბის კლუბ ,,რაშების'' წარმომადგენლებთან გაცნობითი სახის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე კლუბის მხარდაჭერის საკითხები განიხილეს და სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ იმსჯელეს. კლუბი 2018 წლის მაისში, მორაგბე ერეკლე კამლაძემ დაარსა. პანდემიამდე კლუბში 8 მწვრთნელი და 200-მდე აღსაზრდელი ირიცხებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბორცვებიან მინდორზე რაგბის სტადიონი კლუბმა საკუთარი ძალებით მოაწყო. კლუბში ჩუღურეთის და ნაძალადევის რაიონში მცხოვრები ბავშვები ვარჯიშობენ,

მათი დიდი ნაწილი კი, სოციალურად დაუცველია. კლუბს ორი გუნდი ჰყავს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობენ.

შეხვედრას კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭელიძე, კომისიის წევრები შალვა ოგბაიძე, დათო რურუა, ლევან ჯაფარიძე და ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ესწრებოდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე EDYN-ის წევრი გახდა (11.04.2020)

ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელი (EDYN) ევროპისა და აზიის 22 ქვეყნის 230 ახალგაზრდა ლიდერს აერთიანებს. კავშირი USAID-ის მხარდაჭერით 2018 წლის დეკემბერში დაფუძნდა. მისი მთავარი მიზანი ისეთი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრაა, როგორებიცაა: ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა პოლიტიკაში, ახალგაზრდების ემიგრაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია და სხვა.

მიუხედავად სხვადასხვა იდეოლოგიისა და მოსაზრებისა, EDYN-ის შემადგენლობაში 18-32 წლამდე ახალგაზრდებს საერთო რწმენა აქვთ - ისინი ერთიანდებიან დემოკრატიული ღირებულებების განსამტკიცებლად. გაერთიანების წევრებს სურვილი აქვთ იყვნენ ცვლილებების მონაწილე.

EDYN ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

გიორგი ჩაკვეტაძე ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის EDYN წევრად და ელჩად აირჩიეს (28.04.2020)

თბილისის საკრებულო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის EDYN-ის წევრად და ელჩად აირჩიეს.

გიორგი ჩაკვეტაძე EDYN-ის საქმიანობაში ელჩის სტატუსით (Ambassador) 22 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო. ხორციელდება პროექტები, რომელიც პასუხობს შემდეგ გამოწვევებს: ახალგაზრდების ემიგრაცია, ნაკლები ჩართულობა პოლიტიკაში, კონფლიქტები, პოლიტიკური პოლარიზაცია და სხვა. ერთად მუშაობა, ამ პრობლემების დაძლევის მეტი შანსი და შესაძლებლობაა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი (20.05.2020)

ევროპულ-ქართული ინსტიტუტისა (EGI) და შვედეთის საერთაშორისო ლიბერალური ცენტრის (SILC) ერთობლივი პროექტი 20 მაისს ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმით

გაიხსნა, სადაც ახლგაზრდებს საშუალება მიეცათ პოლიტიკაში ახალგაზრდების როლსა და ამ მიმართულებით არსებულ კონკრეტულ გამოწვევებზე ესაუბრათ.

20 მაისს თბილისის საკრებულოს წევრმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ ონლაინ რეჟიმში ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართა, სადაც ისაუბრა ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მათ შეკითხვებს უპასუხა.

ბროკ ბირმანთან ონლაინ შეხვედრა (17.06.2020)

ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის (EDYN) ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს ბროკ ბირმანთან ონლაინ შეხვედრაში, რომელსაც ასევე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ესწრებოდა. შეხვედრაზე ისაუბრეს ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობაზე, პოსტ COVID-19 გეგმებსა და გეო-პოლიტიკურ საკითხებზე.

ბროკ ბირმანი USAID-ის ადმინისტრაციის თანაშემწე, ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ხელმძღვანელია. USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი EDYN 22 ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლებს აერთიანებს.

სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში ჩართულობა

თბილისის საკრებულოში ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს უმასპინძლეს (14.01.2020)

თბილისის საკრებულოში ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან შეხვედრა გაიმართა. ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულო ქალაქის ტრენინგ ცენტრთან შეიქმნა. მისი წევრები ქალაქ ბორჯომისა და მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან, რომლებსაც თანატოლები საჯარო და დემოკრატიული არჩევნების გზით ირჩევენ. ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულო, რომლის წევრთა უმრავლესობა გოგონები არიან, თემატური კომისიებითა არის დაკომპლექტებული.

თბილისის საკრებულოში ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დარჩიამ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ნინო ლაცაბიძემ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ უმასპინძლეს. დეპუტატებმა ახალგაზრდებს საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერებინეს და წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის სპეციფიკა გააცნეს.

თბილისის საკრებულომ სახელმწიფო დროშის დღე აღნიშნა (14.01.2020)

სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი ორგანოს ისტორიული აივნებიდან, საქართველოს სახელმწიფო დროშები გადმოიფინა. ღონისძიებაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ზარქუასთან და საკრებულოს წევრებთან ერთად მონაწილეობდა. საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2012 წლიდან, ყოველი წლის 14 იანვარს აღინიშნება.

თბილისის საკრებულოში ისრაელის ლიდერთა ცენტრის სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა (27.02.2020)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად, ისრაელის ლიდერთა ცენტრ „ახალგაზრდა ელჩების'' სტუდენტებს შეხვდა.

გიორგი ტყემალაძე სტუმრებს მიესალმა და ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობაზე ისაუბრა. მან ქართველებისა და ებრაელების განსაკუთრებულ ურთიერთობას გაუსვა ხაზი და სტუდენტებს საკრებულოს ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

თბილისის საკრებულოს წევრებმა გიორგი ჩაკვეტაძემ, თამარ ტალიაშვილმა და ლევან ჟორჟოლიანმა კი მუნიციპალიტეტის და წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაზე ისაუბრეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ლიდერთა ცენტრის სტუდენტებს შეკითხვები საქართველოსა და თბილისში ებრაულ სათვისტომოსთან ურთიერთობაზე, ახალგაზრდულ და სოციალურ პროგრამებზე ჰქონდათ.

თბილისის საკრებულო სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს დაეხმარა (02.04.2020)

პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თბილისის საკრებულომ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების დარიგების კამპანია განახორციელა. პროექტის ფარგლებში, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ საქართველოში თურქეთის საელჩოს მიერ შეძენილი ნობათი, სამაჟორიტარო ოლქებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ,

მრავალშვილიან ოჯახებს გადასცეს. პირველადი მოხმარების ნივთები და საკვები პროდუქტი საკრებულოს პირადად თურქეთის ელჩმა ფატმა ჯერენ იაზგანმა და ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია „გურთიადის" და დამოუკიდებელ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია „მუსიადის" წარმომადგენლებმა გადასცეს. ნობათი 2 აპრილს 200 ოჯახს დაურიგდა.

თბილისის საკრებულოს კამპანიაში "VTB" ბანკი ჩაერთო (23.05.2020)

თბილისის საკრებულო სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს (ოთხი და მეტი შვილი) დაეხმარა. ამჯერად კამპანიაში კომერციული ბანკი ჩაერთო, რომელმაც 500 ოჯახისთვის გადასაცემი საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები შეიძინა.

კამპანიის ფარგლებში, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ შეძენილი ნობათი მრავალშვილიან ოჯახებს გადასცა.

თბილისში დამატებით 30 ერთეული ახალი ავტობუსი იმოძრავებს (05.11.2019)

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე პრეზენტაციას დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროექტის ფარგლებში, თბილისში ISUZU-სა და MAN-ის მარკის 30 ახალი ავტობუსი მოძრაობს. ავტობუსები ძირითადად დედაქალაქის გარეუბნებს ემსახურება და დასახლებებსა და შემოერთებულ სოფლებს ცენტრალურ უბნებთან აკავშირებს.

გლდანში საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა იწყება (08.11.2019)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე გლდანში, საფეხბურთო ცენტრის მშენებლობის დაწყების ცერემონიას დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ლევან კობიაშვილთან და საკრებულოს წევრთან ოთარ გრიგოლიასთან ერთად დაესწრო.

საფეხბურთო ცენტრის პროექტის ფარგლებში ეწყობა ხელოვნურ საფარიანი სტანდარტული მოედანი, ზომით 108X72 მ. და 200 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა; შენდება ადმინისტრაციული შენობა და მონტაჟდება მოედნის 230-250 ლუქსიანი განათება.

მშენებლობის დასრულება 2020 წლის შემოდგომისთვის იგეგმება. სპორტულ კომპლექსით ქალთა და მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებთან ერთად, ადგილობრივი საფეხბურთო სკოლები სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლებენ.

თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია (17.12.2019)

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ორგანიზებით, თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ღონისძიებაზე სპორტის 16 სახეობაში 54 სპორტსმენი, კერძოდ, კრივის, კარატეს, ძალოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, კანოეს, ძიუდოს, ფარიკაობის, პარაძიუდოს, მკლავჭიდის, პარამკლავჭიდის, უშუს, ათლეტიზმის, სამბოს, კიკბოქსინგის, პარაწოლჭიმის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ.

ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებს, როგორც ფულადი ჯილდოები, ისე სიმბოლური პრიზები გადაეცათ.

თბილისელ სპორტსმენთა დაჯილდოება უკვე მეორედ გაიმართა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დედაქალაქის მერიის, საქართველოს პარლამენტის, თბილისის საკრებულოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები, სპორტსმენები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

სარაგბო გუნდის „ხვამლი" სპორტსმენებს შესაბამისი ეკიპირება და ინვენტარი გადაეცათ (23.12.2019)

თბილისის მერიის სარაგბო გუნდის „ხვამლი'' სპორტსმენებს შესაბამისი ეკიპირება და ინვენტარი გადაეცათ.

სპორტსმენებს ეკიპირება და ინვენტარი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ, დედაქალაქის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან, ირაკლი გვილავასთან ერთად გადასცა.

თბილისის მერიის ინიციატივით, წელს მეორედ ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს სპორტის 21 სახეობაში სპორტსმენების სპორტული ინვენტარით და ეკიპირებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში, სპორტული ფედერაციები და კლუბები, რომელთა საქმიანობაც ორიენტირებულია სოციალური მიზნების განხორციელებაზე, თბილისის მერიისგან დაფინანსებას იღებენ. პროგრამა ხელს უწყობს დედაქალაქის გუნდების, კლუბებისა და სპორტსმენების სამწვრთნელო და საშეჯიბრო პირობების გაუმჯობესებასა და მასობრივი სპორტის განვითარებას.

სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით ისარგებლებენ, როგორც პროფესიონალი, ასევე, მოყვარული სპორტსმენები.

თბილისის მერიის სტიპენდიანტ მაგისტრანტებთან შეხვედრა (24.12.2019)

2019 წლის 24 დეკემბერს, თბილისის მერიის სტიპენდიანტ მაგისტრანტებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სტუდენტები განათლებისა და ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებს გაეცნენ.

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური 2015 წლიდან ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამას, რომელიც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტებისთვის სტიპენდიის გაცემას ითვალისწინებს. სტიპენდია გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, თითოეულ სტუდენტზე 562 ლარის ოდენობით.

2015-2019 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდია გადაეცა 745 წარჩინებულ მაგისტრანტს. აღნიშნული პროგრამის წლიური ბიუჯეტი 200 000 ლარს შეადგენს.

ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, მერის მოადგილესთან სოფიო ხუნწარიასთან, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან თამარ ტალიაშვილთან ერთად დაესწრო.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 80 ახალი მანქანა შეემატა (15.01.2020)

მიმდინარე წლის 15 იანვარს, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 80 ახალი მანქანა გადაეცა. ცერემონიას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან ირაკლი ზარქუასა და მარიკა დარჩიასთან, ასევე საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად დაესწრო.

სასწრაფო დახმარების მანქანები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თბილისის მერიამ გადასცა.

ღონისძიებას, რომელიც თავისუფლების მოედანზე გაიმართა, თბილისის მერი კახა კალაძე, ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ თალაკვაძე და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

JAKO FM-ის საიუბილეო საღამო და არაოლიმპიურ სახეობებში საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება (17.01.2020)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ზარქუამ და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრმა და სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ ცინცაძემ რადიო JAKO FM-ის ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებაზე არაოლიმპიურ სახეობებში 2019 წლის 10 საუკეთესო ქართველი სპორტსმენი და ფედერაციები დააჯილდოეს.

არაოლიმპიურ სახეობებში საუკეთესო ფედერაციები სპორტულმა ჟურნალისტებმა გამოავლინეს, საუკეთესო სპორტსმენები კი შესაბამისმა ფედერაციებმა. გამარჯვებულები სხვადასხვა სინჯის მედლებით, სერტიფიკატებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული არაოლიმპიურ სახეობაში სამბისტ ვახტანგ ჩიდრაშვილს გადაეცა.

"ISUZU-ს" მარკის 40 ერთეული ახალი ავტობუსის პრეზენტაცია (21.01.2020)

თბილისს 40 ერთეული "ISUZU-ს" მარკის ავტობუსი შეემატა. ახალი ავტობუსები დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ წარადგინა. პრეზენტაციას თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები დაესწრნენ.
მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება და მოქალაქეებისთვის კომფორტის შექმნაა. ე.წ. ყვითელი ავტობუსების ძირითადი ნაწილის ჩანაცვლება უკვე მოხდა და ეს პროცესი გრძელდება.

ლილოს დასახლებაში საცურაო აუზის მშენებლობის პროცესის მონიტორინგი (28.01.2020)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და მისი მოადგილე ირაკლი ზარქუა, დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად, ლილოს დასახლებაში საცურაო აუზის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ. აუზი N107 საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე შენდება.

აუზის მშენებლობა მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს. სპორტული კომპლექსი, სხვადასხვა სექციებზე, 500-მდე ბავშვს ემსახურება, საცურაო აუზი კი საშუალოდ 200 ბავშვზეა გათვლილი. ისევე როგორც სხვა მუნიციპალურ კომპლექსებში, სოციალურად

დაუცველ ბავშვებს თბილისის მერია დააფინანსებს. სხვა ნებისმიერ მსურველთათვის კი მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი, შეღავათიანი ტარიფები იმოქმედებს.

2020-2021 წლებში დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია (06.02.2020)

თბილისის მერმა, კახა კალაძემ მოადგილეებთან ერთად, 2020-2021 წლებში დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია გამართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრო.

დედაქალაქის მერმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ პროექტების განსახორციელებლად ტენდერები უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დეტალურად დედაქალაქის მერის მოადგილეებმა, მაია ბითაძემ და ირაკლი ბენდელიანმა ისაუბრეს. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, დაგეგმილი სამუშაოები სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს, რომელთა შორის მწვანე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შექმნა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ქალაქში არსებული ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია შედის.

ავტოპარკის განახლების პრეზენტაცია (07.02.2020)

დედაქალაქს "ISUZU-ს" მარკის 40 ახალი ავტობუსი შეემატა. ავტობუსები საზოგადოებას დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ წარუდგინა. პრეზენტაციას თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები დაესწრნენ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების პროცესი გრძელდება, დედაქალაქის ავტოპარკი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ამ პროექტის ფარგლებში, კიდევ 40 ერთეული ახალი ავტობუსი თბილისელების კომფორტულ მგზავრობას მოემსახურება. 40 ახალი, 8-მეტრიანი ავტობუსი ევრო 6-ის ემისიის სტანდარტისაა და ისინი 9 მარშრუტზე გადანაწილდნენ.

ვარკეთილში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა (18.02.2020)

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და თბილისის მერმა კახა კალაძემ ვარკეთილში პირველი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარეს. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, საკრებულოს დეპუტატები და მერიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამშენებლო სივრცე 15 000 კვ. მ ფართობს მოიცავს და პროექტის დასრულების შემდეგ დღეში 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება. მშენებლობა 2021 წელს დასრულდება და დანერგილი სერვისებით ყველა თაობის ადამიანი ისარგებლებს.

პირველ მულტიფუნქციურ ცენტრში ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, სპორტული ორთაბრძოლების და ტანვარჯიშის სპორტული დარბაზები განთავსდება. მოეწყობა კრივის რინგი და გაიხსნება ძიუდოს, ჭიდაობისა და კარატეს სექციები. გარდა ამისა, ცენტრში ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს დარბაზი, ორი საცურაო აუზი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, სახელოვნებო სკოლა, ბოულინგი და სამაგიდო თამაშების სივრცე, ასევე, საკონფერენციო დარბაზი, კაფე, სპორტული ინვენტარის მაღაზია და მიწისქვეშა პარკინგი განთავსდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსგავსი ტიპის საზოგადოებრივი ცენტრი აქამდე არ არსებობდა. მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა მიზნად ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვას და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას ისახავს.

ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის პრეზენტაცია (04.03.2020)

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ საქართველოს დემოკრატიის თაობის ქსელის (Generation Democracy Georgia) გასვლით სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო.

კახეთში გამართულ ორდღიან შეხვედრაზე სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები განიხილეს. შეხვედრაზე ასევე EDYN-ის (ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელი) პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც IRI-სა და NDI-ის ერთობლივი ინიციატივაა. EDYN ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ახალგაზრდა სამოქალაქო და პოლიტიკურ ლიდერებს აერთიანებს.

მონაწილეებმა რამდენიმე პროექტი შეიმუშავეს, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობით ეს პროექტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში წლის განმავლობაში ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ ქსელი "Generation Democracy" გლობალური კოალიციაა, რომელიც 70 ქვეყნიდან 400-მდე ახალგაზრდულ ორგანიზაციას აერთიანებს. პროექტი IRI-ის ინიციატივით და USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება. ქსელის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო პოლიტიკურ და მმართველობით პროცესებში.

განახლებული მზიურის პარკის გახსნა (13.06.2020)

თბილისს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი, მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა შეემატა - „მზიურის'' განახლებული პარკი გაიხსნა.

პარკის გახსნას პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, თბილისის მერი კახა კალაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს წევრები დაესწრნენ.

„მზიურის'' პარკის რეაბილიტაცია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული კომპლექსური პროექტის ბოლო ფაზაა, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა. პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა 13 ივნისის წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარე გამწვანება და პარკი.

აღდგა პარკში არსებული მოზაიკები, ხიდები, კიბეები და გამოიცვალა ყველა სახის კომუნიკაცია: კანალიზაცია, სასმელი წლის, ირიგაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და გარე განათების სისტემები. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ველო ბილიკები, სკამები, ურნები, ფანჩატურები, სასმელი წყლის სოკოები, დასასვენებელი ადგილები და დაიდგა ზონირების შესაბამისი ნიშნები. ასევე, გაკეთდა ხელოვნური ტბა, სკეიტბორდის და საბავშვო გასართობი მოედნები.

სამგორის რაიონში მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი (16.06.2020)

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები დედაქალაქის მერის მოადგილესთან ანდრია ბასილაიასთან და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან ერთად, სამგორის რაიონში, სპორტული ობიექტების მშენებლობების მიმდინარეობას გაეცნენ.

სამგორის რაიონში, ვარკეთილის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, ვარკეთილის მეურნეობაში ჭიდაობის სპორტული ცენტრი, ლილოს დასახლებაში კი საცურაო აუზი შენდება. მულტიფუნქციურ ცენტრს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სპორტული მიმართულებით მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს.

ვარკეთილის მეურნეობაში, ჭიდაობის ცენტრი, ლილოს დასახლებაში კი, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზი აშენდება.

დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა დაიწყო (15.07.2020)

დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის დაწყების პროცესს საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან, თბილისის მერთან კახა კალაძესთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე დაესწრო. მულტიფუნქციური ცენტრი 9 000 კვ.მ ტერიტორიაზე აშენდება და 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება.

დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა 2021 წელს დასრულდება.

თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია (17.07.2020)

თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ პრეზენტაცია გამართა. სატრანსპორტო პოლიტიკის მიზნებსა და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე პრეზენტაციას სახელწოდებით - „მდგრადი მობილობა თბილისისთვის'' სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან ერთად დაესწრო.

დედაქალაქში სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტია ფეხით, ველოსიპედით, ელექტროსკუტერით მოსიარულეთა სასარგებლოდ, სატრანსპორტო საშუალებათა ახალი იერარქიის ჩამოყალიბება. ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა.

დაწყებულია ავტობუსების პარკის განახლება და წლის ბოლომდე ე.წ. ყვითელი ავტობუსები ბოლომდე ჩანაცვლდება. ამასთან, მიმდინარეობს მეტროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც და ახალი შემადგენლობების დამატება. გარდა ამისა, ტრანსპორტის ინტეგრაციისთვის, დედაქალაქის მთავრობა საბაგიროს პროექტების განხორციელებაზეც მუშაობს და ამ დროისთვის, აღნიშნული პროექტების განხორციელება ისანსა და ნაძალადევში იგეგმება.

გამოცხადებულია ტენდერი ახალი შუქნიშნების შესყიდვასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დანერგვაც, რომელიც 10 სექტემბრიდან საბურთალოს რაიონს მოიცავს. ასევე, მიმდინარეობს ტაქსის რეფორმაც.

ავტობუსების სატრანზიტო დერეფნის პრეზენტაცია (27.08.2020)

სასტუმრო „ბილტმორში'', თბილისის მერმა კახა კალაძემ თბილისის ავტობუსების სატრანზიტო დერეფნის პრეზენტაცია წარადგინა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ირაკლი ზარქუასთან, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდოამრესთან'' ბექა დავითულიანთან და საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან ერთად დაესწრო.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებაა. ეს გულისხმობს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნის გაზრდასა და დედაქალაქში მეტი ავტობუსების ზოლის გაჩენას, რათა მოქალაქეებმა გადაადგილება კომფორტულად და სწრაფად შეძლონ.

რეაბილიტირებული სპორტული ცენტრი „იმედი" გაიხსნა (01.10.2020)

თბილისის მერმა კახა კალაძემ, მერის მოადგილე ანდრია ბასილაიასთან და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროს ირაკლი გვილავასთან ერთად, რეაბილიტირებული სპორტული ცენტრი „იმედი" დაათვალიერა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და ამავე კომისიის წევრები.

საფეხბურთო ცენტრის რეაბილიტაცია თბილისის მერიის ინიციატივით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა შენობა და მოედანი; შეიცვალა შენობის სახურავი, კედლები და ფასადი; დაიგო მოედნის საფარი, დამონტაჟდა განათების სისტემა და დამცავი ბადეები; განახლდა საცურაო აუზის სისტემა; მოეწყო ახალი გასახდელები და საშხაპე ოთახები. შესაბამისად, ცურვის შემსწავლელ ჯგუფებს და საფეხბურთო სკოლას საშუალება ექნება, მოსწავლეები თანამედროვე გარემოში მიიღოს.

სპორტული ცენტრების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვა, ყველა რაიონში სპორტული ცენტრების მშენებლობა და სპორტის სხვადასხვა სახეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია 2019 წლის ნოემბერში დაიწყო. პროექტის ბიუჯეტი 499 449 ლარს შეადგენს.

ვარკეთილის დასახლებაში ჭიდაობის დარბაზი გაიხსნა (07.10.2020)

თბილისის მერმა კახა კალაძემ მერის მოადგილე ანდრია ბასილაიასთან და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან ერთად, სამგორის რაიონში, კერძოდ, ვარკეთილის დასახლებაში ჭიდაობის დარბაზი გახსნა. გახსნას ესწრებოდნენ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და ამავე კომისიის წევრები.

მომავალ წელს, აღნიშნულ ტერიტორიაზე საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნებიც გაკეთდება. სივრცე არის განახლებული და რეაბილიტირებული, მოიცავს ორ დიდ დარბაზს - სატრენაჟორო და საჭიდაო, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებითაც. ცენტრს დაახლოებით 500 მოზარდის მიღება შეუძლია.

დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სამუშაოები თბილისის მერიის ინიციატივით განხორციელდა. პროექტის საერთო ბიუჯეტი 906 179 ლარს შეადგენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საკურატორო სფეროში შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. კომისია სამსახურთან თანამშრომლობით და კოორდინაციით ხელს უწყობს დედაქალაქში სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს განვითარებას.

დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტში, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გათვალისწინებული იყო 22 446,8 ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მოიცავს შემდეგ პროგრამებს:

სპორტული ღონისძიებები

მიმდინარე წელს დაფინანსდა თბილისის **19** *(ცხრამეტი)* სპორტული ფედერაცია და საქართველოს **2** *(ორი)* სპორტული ფედერაცია.

სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–სამწვრთნელო შეკრებები, ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 50 *(ორმოცდაათი)* პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 250 - ზე მეტმა ბენეფიციარმა. მ2019 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის 2 *(ორი)* სპორტსმენი დაჯილდოვდა;

მწვრთნელთა მხარდაჭერა - საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის **348** მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის **49** სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს (წახალისება ხორციელდება ყოველთვიურად);

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება - საანგარიშო პერიოდში 34 სპორტის სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის 247 სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (ბიჭი - 165, გოგო -82).

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, ასევე მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო, თბილისის სკვერებში ხდება ექსტრემალური პანდუსების მოწყობა. ასევე 2016-2017 წლებში თბილისის ტერიტორიაზე დამონტაჟებული გარე-გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორების აღდგენა-შეკეთება. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ. თბილისში, ც. დადიანის ქუჩაზე სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:

- ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა „ფესვები'' მიმდებარედ მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები;
- ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარების'' ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია;
- ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში სპორტული დარბაზის და ა(ა)იპ ,,ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" ავეჯით მომსახურება;
- ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის'' სტრუქტურული ერთეულების - გლდანის სპორტული კომპლექსის და კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების და მუხიანის რაგბის კომპლექსის ბუნებრივსაფარიანი მოედნის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები;
- ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედისთვის'' სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები;
- ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრისთვის'' სამაცივრო დანადგარის შეძენა და სხვა.

მუნიციპალური ა(ა)იპ-ები

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია 9 სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ახალგაზრდული მიმართულებით: ,,ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება", ,,ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი" და ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები".

აღსანიშნავია პარასპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც ამიერკავკასიაში ერთადერთია.

საანგარიშო პერიოდში ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 217 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა. თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ბალანსზეა ადაპტირებული მიკროავტობუსები, რომლებიც ემსახურება როგორც პარასპორტსმენების, ასვე სსსმ და შშმ მოსწავლეების სკოლაში ტრანსპორტირებას.

ახალგაზრდული ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, თემატური ფესტივალები (გრაფიტი, ქუჩის მუსიკა, მოხალისეობა, ტექნოლოგიები, მეწარმეობა), გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები, ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები, საჯომარდო ტურები. ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო ჰაკათონები და ახალგაზრდების ინოვაციური იდეების თანადაფინანსება კონკურსების მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 16 ახალგაზრდული ინიციატივა, რომელთა მიზანი იყო ახალგაზრდების თვითრეალიზება, დასაქმება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. პროექტებში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდა 300-მდე ახალგაზრდა, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემეცნებით და გასართობ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა ახალგაზრდამ.

მომზადდა **კოჯრის ახალგაზრდული სოფელის** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულება 259,600 ლარი იყო.

თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დ. კოჯორში, 30,000 კვ.მ ტერიტორიაზე მწვანე სივრცეში ევროპული სტანდარტების, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფელი აშენდება.

ერთიან სივრცეში შეიქმნება საცხოვრებელი, საფესტივალო, საგანმანათლებლო, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ სივრცეს, როგორც ახალგაზრდულ ცენტრს თავისი მასშტაბებით ევროპაში ანალოგი არ ექნება და შეეძლება წლის ნებისმიერ პერიოდში უმასპინძლოს მასშტაბურ საერთაშორისო და ადგილობრივ ახალგაზრდულ პროექტებს.

„თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი”

ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მოსწავლეთა აღზრდისა და დამატებითი განათლების მრავალფუნქციური დაწესებულებაა. იგი ახორციელებს სოციალურ, კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამებს. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი აერთიანებს 9 ფილიალს და 35 დასახელების წრეს.

საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ბაზაზე 1740 სოციალურად დაუცველმა მოსწავლემ მიიღო სერვისი, აგრეთვე სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება (წახალისება) - ფარგლებში საგნობრივი მიმართულების წრეებში - 130 მოსწავლემ ისარგებლა, 180 თანამშრომელმა კი შეუფერხებლად მიიღო ანაზღაურება პანდემიის პირობებში.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე”

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე” საქართველოში უნიკალური ტრადიციული, პოპულარული, მასშტაბური, მდიდარი ისტორიის მქონე, შემოქმედებით-შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. სასახლის მიზანია მომავალი თაობის აღზრდა, მისი შემეცნებითი, ესთეტიკური, შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და მათი თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება. ეროვნული სასახლის მისია არის სკოლისგარეშე, სახელოვნებო, დამატებითი და არაფორმალური განათლების სფეროში, სწავლების ნოვაციური მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა; სახელმწიფოს მიერ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში მონაწილეობის მიღება და სწავლების დონის ამაღლების მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. არაფორმალურ განათლებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით ადაპტირებული გარემოს შექმნა, თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

2020-2021 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა (20 ოქტომბრის მონაცემებით) – 1192-ია;

- საანგარიშო პერიოდში ეროვნულმა სასახლემ 164 ღონისძიებას გაუწია ორგანიზება, მათ შორის კულტურულ საგანმანათლებლო/საშემსრულებლო, ტრენინგი/ ლექცია/ პრეზენტაცია, გასვლითი ღონისძიება/ ექსკურსია, კონკურსი/ ტურნირი/ ასპარეზობა/ჩემპიონატი, გამოფენა/ აქცია/რეპორტაჟი, ონლაინ კონცერტი. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3600-მდე ბენეფიციარმა.
- ინფრასტრუქტურა-დაწყებულია სასახლის მე-2 და მე-3 შენობის სრული რეაბილიტაცია და მიმდინარეობს სასახლის მთავარი შენობის გამაგრებითი გარე სამუშაოები.

„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება"

„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' მიზანი ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა და საჭირო სერვისების უზრუნველყოფაა.

საანგარიშო პერიოდში საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა, სალაშქრო და საჯომარდო ტურები და ბანაკები, რაშიც ჩართული იყო 400 ბენეფიციარი; მოეწყო თბილისის მერიის სტიპენდიანტი სტუდენტების გასვლითი სამუშაო შეხვედრა, ღონისძიებეში ჩართული იყო 80 წარჩინებული მაგისტრანტი, პროგრამის „მერიასთან ერთად'' ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა - ბენეფიციართა ტრანსპორტით უზრუნველყოფა სულ 1 890 ბენფიციარი; დისტანციური სწავლებით გაგრძელდა „ქართული ენის შემსწავლელი კურსები'' საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 50 ბენეფიციარი. ასევ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- **ახალგაზრდული ბარათი** - თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ, 20 თებერვალს, ოფიციალური განაცხადი გააკეთა „ევროპული ახალგზრდული ბარათის ასოციაციის'' (EYCA – European Youth Card Association) წევრობაზე და ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საანგარიშო პერიოდში დისტანციური სამუშაო შეხვერდრები "EYCA"-ს დირექტორს, გაერთიანების დირექტორის მოადგილესა და თბილისის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსს შორის, რომელზეც მხარეებს შორის განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პროცესი. აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა წევრებს შორის, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობით (თბილისი) შევიდა ასოციაციაში და არა ეროვნული პლატფორმის დონეზე. ბარათების გაცემა დაიწყება 2021 წლიდან.
- **"We Can Do It!"** - ახალგაზრდული ასოციაცია დრონის ორგანიზებით 1-6 მარტს ჩატარდა საერთაშორისო ახალაგაზრდული გაცვლა ,,ჩვენ ეს შეგვიძლია'', რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის 12 ქვეყნის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პროექტი მოიაზრებდა ქვეყნებს შორის ცოდნისა და პრაქტიკების გაზიარებას შშმ პირთა ინკლუზიის სფეროში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა რიგი ვიზიტები

შშმ პირთა მშობლების მიერ შექმნილ ორგანიზაციებსა და საწარმოებში. გაცვლის ერთ-ერთ დღე დაეთმო გასვლით აქტივობას სიღნაღში, შშმპ ორგანიზცია „ქედელს"-ში. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ თემის დამფუძნებლებსა და ჩართულიყვნენ სხვადასხვა ვორკშოპში.

- **ახალგაზრდობის სფეროს კვლევა** - ევროკავშირის პროგრამა "Erasmus+"-ის ფარგლებში მოპოვებული გრანტით განხორციელდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირებისა და თბილისის მერიის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. კვლევა შესრულდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიმდინარეობს სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც საბოლოო სახეს მიიღებს ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებსა და შემაჯამებელ კონფერენციაზე.

რაიონული გამგეობები

კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებისთვის რაიონებში (მთაწმინდა, კრწანისი, ვაკე, საბურთალო, დიდუბე, ჩუღურეთი, ნაძალადევი, გლდანი, ისანი და სამგორი) დედაქალაქის ბიუჯეტში განსაზღვრულია 700,0 ათასი ლარი. ასევე, 9000,0 ათას ლარამდე თანხაა გამოყოფილი რაიონებში სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

გამგეობების შესაბამისი განყოფილებების მიერ ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა სპორტული, ახალგაზრდული ღონისძიებები და წესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა თავიანთი რაიონების მასშტაბით.

კომისია რეგულარულად ახორციელებს გამგეობების მიერ, ღონისძიებებისთვის გამოცხადებული სატენდერო წინადადებების მონიტორინგს, საანგარიშო პერიოდში:

- გამოცხადდა 5 ახალი სპორტული მოედნების მოწყობისთვის 2 000, 0 ათას ლარამდე ღირებულების ტენდერი;
- 2 000, 0 ათას ლარამდე ღირებულების 14 ტენდერი გამოცხადდა, გარე გამოყენების ფიტნეს -ტრენაჟორების მოწყობის მიზნით;
- მოეწყო 17 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 44 მინი (უბნის) სტადიონს; მიმდინარეობს 10-მდე ახლის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- მინი-სტადიონების და ფიტნეს-ტრენაჟორების რებილიტაცისთვის 3 000, 0 თას ლარამდე ღირებულების 23 ტენდერი გამოცხადდა;
- რაიონებში მოეწყო ახალი გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორები;
- პერიოდულად იმართება ტურნირები და ჩემპიონატები სხვადასხვა სახეობაში.

ქ. თბილისის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს 14 სხდომა განხილულია 162 პროექტი.

132 საკითხი გადაწყდა დადებითად, 14 პროექტს უარი ეთქვა დაფინანსებაზე, ხოლო 16 პროექტს გაეწია შუამდგომლობა მთავრობასთან.

მოთხოვნილმა და გადარიცხული თანხის რაოდენობამ ჯამში შეადგინა: 1,791,574.49 ლარი.

გიორგი ჩაკვეტაძე (2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო 13 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 118 პროექტის განხილვაში.

მივლინებები/ ოფიციალური ვიზიტები

საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძეს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. ბათუმში, სადაც თბილისის საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, 21 თებერვალს ახალგაზრდული ფორუმი - „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის'' გაიხსნა.

ფორუმი მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ფორუმი ორ დღიანი იყო. პირველი დღე ოფიციალური სტუმრების მისალმებას, ფორუმის დაფუძნების მიზნების გაცნობას და ფორუმის მონაწილეთა მიერ სამუშაო ფორმატში საპროექტო იდეების შემუშავებას დაეთმო, ხოლო მეორე დღე შემუშავებული პროექტების პრეზენტაციას და კენჭისყრას. გარდა აღნიშნული საკითხებისა, ფორუმის პლატფორმის გაძლიერების მიზნით მონაწილეებმა ინიციატივები წარმოადგინეს, რაც რეზოლუციის სახით შემუშავდა.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში შემოვიდა 455 კორესპონდენცია. მათ შორის არის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი 377 კორესპონდენცია; კომისიაში შემოსული 51 წერილი და საკრებულოს სხვადსხვა კომისიიდან თუ განყოფილებიდან მიღებული 27 წერილი.

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას, ჯამში შეადგენს 343-ს. მათ შორის კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს 307-ს, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა 36-ს.

მოქალაქეთა მიღება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში შეხვედრა შედგა 200-მდე მოქალაქესთან, რომლებსაც შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია გაეწიათ. ასევე, განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და დაინტერესებულ მოქალაქეებს განმარტებები მიეცათ.

დამატებითი ინფორმაცია

კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

სტაჟიორების მიღება

კომისიის, საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა ორი სტაჟიორი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომისიისა და საკრებულოს სხდომებს. სტაჟიორებს გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიისა და გიორგი ჩაკვეტაძის “Facebook” გვერდებზე და მის მართვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო. გარდა ამისა, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას, მათ შორის უზრუნველყოფს

აქტივობების ქ. თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე განთავსებას.

სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა

გიორგი ჩაკვეტაძე საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას იღებდა სხვდასხვა სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებში აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- (27.11.2019) პირველი არხი, გადაცემა „ტრიბუნა'' - დებატები საარჩევნო სისტემასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე;
- (26.12.2019) პირველი არხი, გადაცემა „ტრიბუნა'' - 2019 წლის პოლიტიკური პროცესები;
- (24.01.2020) ტვ პირველი - საკრებულოს სხდომასთან დაკავშირებით;
- (27.01.2020) იბერია - 24 იანვარს თბილისის საკრებულოში განვითარებული მოვლენები;
- (05.02.2020) ტვ პირველი, გადაცემა „რეაქცია'' - ბაღდათში მომხდარი ტრაგედია, სოციალური და ეკონომიკური საკითხები. მიმდინარე რეფორმები და პოლიტიკური ვითარება;
- (14.03.2020) მაესტრო და ფორმულა - ბრიფინგი მოხალისეთა შტაბთან დაკავშირებით;
- (09.06.2020) POS TV (16:00) „პოლიტიკური პოსტი ივანე შაიშმელაშვილთან ერთად'' - ზოგადი თემები;
- (18.07.2020) რადიო პალიტრა, პოლიტიკური თოქ-შოუ „რეზიუმე'' - თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა.